




# მდიურნი ანბარნიში 2012



## სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა




პროექტს აფინანსებს ევროკავშირი



პროექტს ახორციელებს "Human Dynamics"-ი

ანგარიში გამოცემულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური და მასში წარმოდგენილი შეხედულებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ევროპის კავშირის ხედვებს.





## მინისტრის მიმართვა

ბოლო წლებში არ წყდებოდა მსჯელობა იმის შესახებ, რამდენად მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს სახელმწიფოსთვის ადამიანი, მისი სიცოცხლე და უფლებები. ამ მხრივ სამსჯელო, მართლაც, ბევრი იყო. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოებისთვის უცხო არ იყო პოლიტიკური დევნა, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, მართლმსაჯულების ორგანოთა მხრიდან ძალის გადამტეხვა, წამება, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა, საკუთრების ხელყოფა. საზოგადოებამ მტკიცებულად განიცადა ადამიანთა სიცოცხლის მოსპობის ის ფაქტები, რომელთა უკან სახელმწიფო მოხელეები იდგნენ.

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა გავიხსნა გზა ახალი შესაძლებლობისკენ. დღეს ჩვენს ძალისხმევას სახელმწიფო ინსტიტუტების გაადამიანურებისკენ მივმართავთ; თითოეულ მოქალაქეს უნდა დავეზრუნოთ უსაფრთხოების, სამართლიანობისა და ღირსების განცდა; ხელი შევუწყოთ კანონის უზენაესობის განმტკიცებას და შევქმნათ გარანტიები, რომ ნებისმიერმა პირმა საკუთარი უფლებების დაცვა ეფექტიანად და დაუბრკოლებლად შეძლოს.

ამ მხრივ, იურიდიული დახმარების სამსახურს მნიშვნელოვანი როლი აკისრია. უნდა გავაძლიეროთ საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიული დამოუკიდებლობა და არ დავუშვათ მათ საქმიანობაზე რაიმე სახის უკანონო ზემოქმედება; შევქმნათ ყველა პირობა, რათა სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს ხელი მიუწვდებოდეთ ხარისხიან და დროულ იურიდიულ დახმარებაზე; გავაფართოვოთ იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი და ავამაღლოთ საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერება.

საგულისხმოა, რომ იურიდიული დახმარების სამსახური ვითარდება და მის მიმართ ნდობაც იზრდება. სამსახურს სულ უფრო მეტი მოქალაქე მიმართავს. ბევრი მათგანი წარმატებას აღწევს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დავაში.

გვაქვს მტკიცე ნება, არ შევჩერდეთ იურიდიული დახმარების რეფორმის კუთხით აქამდე მიღწეულ შედეგებზე. დარწმუნებული ვარ, რომ სამსახურის თანამშრომლების, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობით, შევძლებთ დასახული მიზნების მიღწევას.

პატივისცემით,

**სოზარ სუბარი,**

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი



## ლიჩაქბორის მიმართვა

**2012** წელი ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე ერთ-ერთ გარდამტეხ ეტაპად იქცა. ქართულმა საზოგადოებამ არა მხოლოდ გამოხატა ტრანსფორმაციის სურვილი, არამედ გადადგა მნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაბიჯები თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობაში საკუთარი პასუხისმგებლობის გაზიარების თვალსაზრისით. მოქალაქეებმა, საარჩევნო უფლების აქტიურად გამოყენების მაგალითზე, ირწმუნეს, რომ ცვლილებების განხორციელება სამართლებრივი გზებითაა შესაძლებელი, და გააცნობიერეს, რომ მათ ხმას აქვს ძალა, რომ მათი ხმა არის დაცული.

მაგრამ მოქალაქეთა ხმის დაცვა მხოლოდ საარჩევნო ყუთებთან საკმარისი არაა. ეს ხმა დაცული უნდა იყოს ყველგან, განსაკუთრებით კი, მართლმსაჯულების სისტემასთან ურთიერთობების პროცესში. სწორედ ამიტომ, იურიდიული დახმარების სამსახურს, როგორც უფლებადამცველ ორგანიზაციას, მეტად მნიშვნელოვანი როლი ეკისრება.

იურიდიული დახმარების სამსახური 2007 წელს შეიქმნა და ბოლო 5 წლის განმავლობაში საგრძნობი პროგრესი

განიცადა. ტერიტორიული ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების რაოდენობა 2-იდან 15-მდე გაიზარდა და მთელი საქართველო მოიცვა. მომსახურების სფერო გაფართოვდა და, სისხლის სამართლის საქმეებზე ადვოკატირებასთან ერთად, გავრცელდა იმ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებზე, რომლებიც სახდელის სახით ადმინისტრაციულ პატიმრობას ითვალისწინებს. დიდი ყურადღება ეთმობა სამართლებრივი დახმარების ხარისხის უზრუნველყოფას, რისთვისაც საზოგადოებრივი ადვოკატი მუდმივ პროფესიულ გადამზადებას გადიან. იზრდება მოქალაქეთა მომართვიანობა. 2012 წელს გაწეული კონსულტაციების რაოდენობამ 17 ათასს გადააჭარბა, რაც ბოლო 5 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. უნდა ითქვას, რომ ამ წარმატების მიღწევა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან მჭიდრო პარტნიორობის შედეგად გახდა შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ იურიდიული დახმარების ქართული მოდელი პოსტსოციალისტური და განვითარებადი ქვეყნების მზარდ ინტერესს იწვევს. იორდანისა და ყაზახეთის დელეგაციების შემდეგ, 2012 წელს საქართველოს გაცნობითი ვიზიტით ინდონეზიის წარმომადგენლებიც ეწვივნენ. ამასთან ერთად, იურიდიული დახმარების სამსახურმა აქტიური მონაწილეობა მიიღო გლობალური მასშტაბის საერთაშორისო დოკუმენტის მომზადებაში, რომელიც გაეროს წევრ სახელმწიფოებს სისხლის სამართლის საქმეებზე იურიდიული დახმარების უზრუნველყოფას ავალდებულებს. დოკუმენტი, სახელწოდებით „სისხლის სამართლის სისტემებში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები“, 2012 წლის დეკემბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო.

მიუხედავად წარმატებებისა, სამსახურის წინაშე დგას ბევრი გადასაჭრელი ამოცანა: დასახვეწია იურიდიული დახმარების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, გასაზრდელია საზოგადოების ინფორმირებულობის დონე, ჩასატარებელია მოსამზადებელი სამუშაოები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე სამსახურის მანდატის გასაფართოებლად, გასაძლიერებელია სამსახურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გარანტიები. ამ და სხვა გამოწვევებთან გამკლავებაში მაქვს სამსახურის თანამშრომლების, სახელმწიფოსა და პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების იმედი. მჯერა, რომ ერთობლივი ძალისხმევით სასიკეთო ცვლილებებს მივაღწევთ.

პატივისცემით,  
**მელიტონ ბენიძე**  
იურიდიული დახმარების  
სამსახურის დირექტორი

# შინაარსი

## იურიდიული ღახეააკეის სისტემა

მნიშვნელოვანი თარიღები	7
იურიდიული დახმარების სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა	8
თანამშრომელთა საერთო რაოდენობა	8
ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები	9
მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი	13
სამსახურის მანდატი	14

## სტატისტიკა

### ნარკოტეაუი საქმეები

ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს სახელფასო დავალიანება აუნაზღაურდა	19
დანაშაულებრივი გზით მოზოვებული ნივთების შექენა-გასაღებაში ბრალდებულები გამართლდნენ	19
ალიმენტის გადაუხდელობაში ბრალდებული გამართლდა	20
ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვაში ბრალდებული გამართლდა	20
საზოგადოებრივი ადვოკატის დახმარებით, მოქალაქეს ნასამართლობა გაუქარწყლდა	21
დოკუმენტის გაყალბებაში ბრალდებული გამართლდა	21
ფულადი თანხის და ლითონის ნაკეთობის ქურდობაში ბრალდებული გამართლდა	22
ყოფილმა სამხედრო მოსამსახურემ თავდაცვის სამინისტროს დავა მოუგო	23
ოქრო-ვერცხლის ქურდობაში ბრალდებულები გამართლდნენ	23
სხვა წარმატებული საქმეები	24

### იურიდიული ღახეააკეის ხაღისაწვომობა

უფასო იურიდიული კონსულტაცია სასჯელადსრულების დაწესებულებათა საზოგადოებრივ მისაღებაში გახდა ხელმისაწვდომი	26
--	----

### იურიდიული ღახეააკეის ხარისხი

გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ჩატარებული სემინარები	28
სასჯელადსრულების და პრობაციის სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული სემინარები	29
სხვა ორგანიზაციების მხარდაჭერით ჩატარებული სემინარები	29
იურიდიული კლინიკის პროექტი	30

### საზოგადოებასთან უკითხულობა

სამართლებრივი დახმარების პროექტი სამეგრელოში	32
გასვლითი კონსულტაციები სხვა რეგიონებში	32
შეხვედრა თსუ-ში საზოგადოებისათვის სასარგებლო შეთანხმებების თემამე	33
შეხვედრები დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებში	34

### თანამშრომლობა სახაღინიწო, აკასამშრომლო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან

სასწავლო ვიზიტი ნიდერლანდებში	36
საქართველოს ინიციატივით, მსოფლიოში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის საკითხი საერთაშორისო დოკუმენტით დარეგულირდა	36
ადვოკატებისა და პროკურორების სამუშაო შეხვედრა	37
უცხოელი სპეციალისტები იურიდიული დახმარების ქართული მოდელის შესწავლას განაგრძობენ	37
იურიდიული დახმარების რეგიონული ქსელი	38

### სამსახურის დაშორიღება და გაქფირვა

იურიდიული დახმარების სამსახური ერთ-ერთ ყველაზე გამჭვირვალ ორგანიზაციად დასახელდა	40
მსჯელობა იურიდიული დახმარების სამსახურის დამოუკიდებლობის საკითხზე	40

### 2012 წლის შინაარსი ანბანი


# იურიდიული დახმარების სისტემა



## ენიშნალოვანი თარიღები


საქართველოში უფასო იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმა 2004 წელს სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობით დაიწყო. თავდაპირველად რეფორმის კონცეფცია მომზადდა, 2005 წლიდან კი მისი იმპლემენტაცია დაიწყო.

- თებერვალი, 2005 წელი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით, ჩამოყალიბდა „საზოგადოებრივი (სახანძრო) ადვოკატის სამსახური. დაიწყო იურიდიული დახმარების ახალი სისტემის პილოტირება.
- ივნისი, 2005 წელი – ამოქმედდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის თბილისის გლდან-ნაძალადევის რაიონისა და ზესტაფონის რაიონის ტერიტორიული ბიუროები.
- თებერვალი, 2006 წელი – გაფართოვდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის ტერიტორიული ბიუროების კომპეტენცია: თბილისის გლდან-ნაძალადევის ტერიტორიული ბიუროს კომპეტენცია გავრცელდა დიდუბე-ჩუღურეთისა და ვაკე-საბურთალოს რაიონებზე, ხოლო ზესტაფონის ტერიტორიული ბიუროს კომპეტენცია – ხარაგაულისა და თერჯოლის რაიონებზე.
- ივლისი, 2007 წელი – საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“. კანონის საფუძველზე, იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში საჯარო სამართლის იურიდიული პირი – იურიდიული დახმარების სამსახური ჩამოყალიბდა.
- ნოემბერი, 2007 წელი – ამოქმედდა იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროები მცხეთაში, თელავში, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდსა და ფოთში.
- მაისი, 2008 წელი – იურიდიული დახმარების სამსახურმა გახსნა საკონსულტაციო ცენტრი ოზურგეთში.
- ივნისი, 2008 წელი – საკონსულტაციო ცენტრი ამოქმედდა ამბროლაურში.
- თებერვალი, 2009 წელი – იურიდიული დახმარების სამსახურმა, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით, ფუნქციონირება განაგრძო საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში.
- მაისი, 2009 წელი – ფუნქციონირება დაიწყო მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრმა, რომელშიც კერძო სექტორში დასაქმებული ადვოკატები დარეგისტრირდნენ და, საბიუჯეტო ანაზღაურების საფუძველზე, სოციალურად დაუცველი პირებისათვის უფასო მომსახურების გაწევას შეუდგნენ.
- იანვარი, 2010 წელი – გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, გაიხსნა სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო.
- სექტემბერი, 2010 წელი – გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, ამოქმედდა ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრი.
- ოქტომბერი, 2010 წელი – განხორციელდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები: ძალაში შევიდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელმაც გაზარდა ადვოკატის როლი. გარდა ამისა, ამოქმედდა ახალი პატიმრობის კოდექსი, რომლის შესაბამისად, უფასო იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომი გახდა იმ ბრალდებულებისა და მსჯავრდებულებისათვის, რომელთა მიმართ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება.
- მარტი, 2011 წელი – იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები მონაწილეობენ ისეთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში, რომლებზეც ადმინისტრაციული სახდელის სახით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობა.
- სექტემბერი, 2011 წელი – გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, ამოქმედდა წალკის საკონსულტაციო ცენტრი.





# სსიპ იურიდიული ღახეპარების სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა



## თანამშრომელთა საერთო რაოდენობა

თანამშრომელთა ფაქტობრივი რაოდენობა 2012 წლის დეკემბრის მდგომარეობით სულ: 160	
- საზოგადოებრივი ადვოკატები	81
- კონსულტანტები	20
- სპეციალისტები	11
- ცენტრალური აპარატის თანამშრომლები	15
- ტექნიკური პერსონალი	33



## ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები

თბილისის ბიურო	
სამოქმედო ტერიტორია	თბილისი
თანამშრომლები	<ul style="list-style-type: none"> <li>- ბიუროს უფროსი: სულხან კომახიძე</li> <li>- საზოგადოებრივი ადვოკატი: 22</li> <li>- კონსულტანტი: 4 (1 – გლდანის ციხის საზ.მისაღებში)</li> <li>- სპეციალისტი: 1</li> </ul>
2012 წლის სტატისტიკა	<ul style="list-style-type: none"> <li>- წარმოებაში მიღებული საქმეები: 3201</li> <li>- გაწეული კონსულტაციები: 2658</li> <li>- შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 413</li> </ul>
საკონტაქტო ინფორმაცია	<p>მის.: თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №140ა, მე-3 სართ. (შესასვლელი პასტერის ქუჩიდან) ტელ.: +995(32)2954474 / 75; მობ.: +995(595)364410</p>

მცხეთა-მთიანეთის ბიურო	
სამოქმედო ტერიტორია	მცხეთის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები
თანამშრომლები	<ul style="list-style-type: none"> <li>- ბიუროს უფროსი: ალუდა ბუჩუკური</li> <li>- საზოგადოებრივი ადვოკატი: 3</li> <li>- კონსულტანტი: 2 (1 – ქსნის ციხის საზ.მისაღებში)</li> <li>- სპეციალისტი: 1</li> </ul>
2012 წლის სტატისტიკა	<ul style="list-style-type: none"> <li>- წარმოებაში მიღებული საქმეები: 313</li> <li>- გაწეული კონსულტაციები: 1136</li> <li>- შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 307</li> </ul>
საკონტაქტო ინფორმაცია	<p>მის.: მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქ. №51 ტელ.: +995(32)2513873; მობ.: +995(595)901705</p>

კახეთის ბიურო	
სამოქმედო ტერიტორია	ახმეტის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს, სიღნაღის, გურჯაანისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტები
თანამშრომლები	<ul style="list-style-type: none"> <li>- ბიუროს უფროსი: ლიანა ჭუნიაშვილი</li> <li>- საზოგადოებრივი ადვოკატი: 5</li> <li>- კონსულტანტი: 1</li> <li>- სპეციალისტი: 1</li> </ul>
2012 წლის სტატისტიკა	<ul style="list-style-type: none"> <li>- წარმოებაში მიღებული საქმეები: 288</li> <li>- გაწეული კონსულტაციები: 523</li> <li>- შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 112</li> </ul>
საკონტაქტო ინფორმაცია	<p>მის.: თელავი, ერეკლე II გამზ. №8 ტელ.: +995(350)271538; მობ.: +995(595)901707</p>



ქვემო ქართლის ბიურო	
სამოქმედო ტერიტორია	ქ. რუსთავი, ასევე გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, ბოლნისის, წალკისა და დმანისის მუნიციპალიტეტები
თანამშრომლები	<ul style="list-style-type: none"> <li>- ბიუროს უფროსი: იოსებ ჯამასპიშვილი</li> <li>- საზოგადოებრივი ადვოკატი: 9</li> <li>- კონსულტანტი: 3 (2 – რუსთავის ციხეების საზ.მისაღებში)</li> <li>- სპეციალისტი: 1</li> </ul>
2012 წლის სტატისტიკა	<ul style="list-style-type: none"> <li>- წარმოებაში მიღებული საქმეები: 770</li> <li>- გაწეული კონსულტაციები: 910</li> <li>- შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 254</li> </ul>
საკონტაქტო ინფორმაცია	მის.: რუსთავი, ბათუმის ქ. №17, ტელ.: +995(341)241425; მობ.: +995(595)901706

შიდა ქართლის ბიურო	
სამოქმედო ტერიტორია	კასპის, გორის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტები
თანამშრომლები	<ul style="list-style-type: none"> <li>- ბიუროს უფროსი: გიორგი ჯეირანაშვილი</li> <li>- საზოგადოებრივი ადვოკატი: 6</li> <li>- კონსულტანტი: 1</li> <li>- სპეციალისტი: 1</li> </ul>
2012 წლის სტატისტიკა	<ul style="list-style-type: none"> <li>- წარმოებაში მიღებული საქმეები: 360</li> <li>- გაწეული კონსულტაციები: 865</li> <li>- შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 300</li> </ul>
საკონტაქტო ინფორმაცია	მის.: გორი, სამეფოს ქ. №54 ტელ.: +995(370)279556; მობ.: +995(595)901704

სამცხე-ჯავახეთის ქართლის ბიურო	
სამოქმედო ტერიტორია	ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ნინოწმინდისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტები
თანამშრომლები	<ul style="list-style-type: none"> <li>- ბიუროს უფროსი: დავით ზარიძე</li> <li>- საზოგადოებრივი ადვოკატი: 4</li> <li>- სპეციალისტი: 1</li> </ul>
2012 წლის სტატისტიკა	<ul style="list-style-type: none"> <li>- წარმოებაში მიღებული საქმეები: 242</li> <li>- გაწეული კონსულტაციები: 610</li> <li>- შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 185</li> </ul>
საკონტაქტო ინფორმაცია	მის.: ახალციხე, თაბუკაშვილის ქ. №17 ტელ.: +995(265)220735; მობ.: +995(599)722176

იმერეთის-ზესტაფონის ბიურო	
სამოქმედო ტერიტორია	ზესტაფონის, თერჯოლის, ხარაგაულის, საჩხერისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტები
თანამშრომლები	<ul style="list-style-type: none"> <li>- ბიუროს უფროსი: გელა ბერაძე</li> <li>- საზოგადოებრივი ადვოკატი: 6</li> <li>- კონსულტანტი: 1</li> <li>- სპეციალისტი: 1</li> </ul>
2012 წლის სტატისტიკა	<ul style="list-style-type: none"> <li>- წარმოებაში მიღებული საქმეები: 120</li> <li>- გაწეული კონსულტაციები: 1792</li> <li>- შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 414</li> </ul>
საკონტაქტო ინფორმაცია	მის.: ზესტაფონი, წერეთლის ქ. №11 ტელ.: +995(492)253637; მობ.: +995(595)364441

იმერეთის-ქუთაისის ბიურო	
სამოქმედო ტერიტორია	ქ. ქუთაისი, ასევე ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, ხონის, წყალტუბოსა და ტყიბულის მუნიციპალიტეტები
თანამშრომლები	<ul style="list-style-type: none"> <li>- ბიუროს უფროსი: გელა სიორდია</li> <li>- საზოგადოებრივი ადვოკატი: 9</li> <li>- კონსულტანტი: 1</li> <li>- სპეციალისტი: 1</li> </ul>
2012 წლის სტატისტიკა	<ul style="list-style-type: none"> <li>- წარმობაში მიღებული საქმეები: 1031</li> <li>- გაწეული კონსულტაციები: 2379</li> <li>- შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 650</li> </ul>
საკონტაქტო ინფორმაცია	მის.: ქუთაისი, სადგურის მოედანი №3 ტელ.: +995(431)253411; მობ.: +995(595)901700

სამეგრელოს-ზუგდიდის ბიურო	
სამოქმედო ტერიტორია	ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და მესტიის მუნიციპალიტეტები
თანამშრომლები	<ul style="list-style-type: none"> <li>- ბიუროს უფროსი: რომან კვიციანი</li> <li>- საზოგადოებრივი ადვოკატი: 7</li> <li>- კონსულტანტი: 1</li> <li>- სპეციალისტი: 1</li> </ul>
2012 წლის სტატისტიკა	<ul style="list-style-type: none"> <li>- წარმობაში მიღებული საქმეები: 269</li> <li>- გაწეული კონსულტაციები: 1965</li> <li>- შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 839</li> </ul>
საკონტაქტო ინფორმაცია	მის.: ზუგდიდი, კოსტავას ქ. №24 ტელ.: +995(415)253472; მობ.: +995(595)901702

სამეგრელოს-ფოთის ბიურო	
სამოქმედო ტერიტორია	ქ. ფოთი, ასევე სენაკის, აბაშისა და მარტვილის მუნიციპალიტეტები
თანამშრომლები	<ul style="list-style-type: none"> <li>- ბიუროს უფროსი: ნათია ბოჭორვა</li> <li>- საზოგადოებრივი ადვოკატი: 4</li> <li>- კონსულტანტი: 1</li> <li>- სპეციალისტი: 1</li> </ul>
2012 წლის სტატისტიკა	<ul style="list-style-type: none"> <li>- წარმობაში მიღებული საქმეები: 174</li> <li>- გაწეული კონსულტაციები: 1385</li> <li>- შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 455</li> </ul>
საკონტაქტო ინფორმაცია	მის.: ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №37 ტელ.: +995(493)243332; მობ.: +995(595)901703

აჭარის ბიურო	
სამოქმედო ტერიტორია	ქ. ბათუმი, ასევე ქობულეთის, ხელვაჩაურის, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტები
თანამშრომლები	<ul style="list-style-type: none"> <li>- ბიუროს უფროსი: იამზე ზანდარაძე</li> <li>- საზოგადოებრივი ადვოკატი: 6</li> <li>- კონსულტანტი: 1</li> <li>- სპეციალისტი: 1</li> </ul>
2012 წლის სტატისტიკა	<ul style="list-style-type: none"> <li>- წარმობაში მიღებული საქმეები: 405</li> <li>- გაწეული კონსულტაციები: 299</li> <li>- შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 85</li> </ul>
საკონტაქტო ინფორმაცია	მის.: ბათუმი, ბარათაშვილის №27, ბინა 3 ტელ.: +995(422) 242449; მობ.: +995(595) 901701



ობურგეთის საკონსულტაციო ცენტრი	
სამოქმედო ტერიტორია	ობურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები
თანამშრომლები	- კონსულტანტი: იამზე მემარნიშვილი
2012 წლის სტატისტიკა	- გაწეული კონსულტაციები: 772 - შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 108
საკონტაქტო ინფორმაცია	მის.: ობურგეთი, კოსტავას ქ. №1, მე-3 სართ. ტელ.: +995(496)275992; მობ.: +995(595)308850

ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი	
სამოქმედო ტერიტორია	ონის, ამბროლაურის, ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტები
თანამშრომლები	- კონსულტანტი: თეა ჩიკვაძე
2012 წლის სტატისტიკა	- გაწეული კონსულტაციები: 266 - შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 117
საკონტაქტო ინფორმაცია	მის.: ამბროლაური, აღმაშენებლის ქ. №24 მობ.: +995(595) 308847

ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრი	
სამოქმედო ტერიტორია	ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები
თანამშრომლები	- კონსულტანტი: ვასილ ბალახაძე
2012 წლის სტატისტიკა	- გაწეული კონსულტაციები: 1265 - შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 703
საკონტაქტო ინფორმაცია	მის.: ახალქალაქი, თამარ მეფის №44 მობ.: +995(591)996597

წალკის საკონსულტაციო ცენტრი	
სამოქმედო ტერიტორია	წალკის რაიონი
თანამშრომლები	- კონსულტანტი: დავით გოგიჩაიშვილი
2012 წლის სტატისტიკა	- გაწეული კონსულტაციები: 732 - შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები: 396
საკონტაქტო ინფორმაცია	მის.: წალკა, არისტოტელეს №22 მობ.: +995(599) 090091

## მონვეულ საზოგადოებრივ აღვოკატთა რეესტრი

რეესტრის ადვოკატთა საერთო რაოდენობა	77
1. თბილისის რეგიონული რეესტრი	24
2. ქვემო ქართლის რეგიონული რეესტრი	16
3. მცხეთა-მთიანეთის რეგიონული რეესტრი	2
4. კახეთის რეგიონული რეესტრი	7
5. შიდა ქართლის რეგიონული რეესტრი	5
6. სამცხე-ჯავახეთის რეგიონული რეესტრი	2
7. იმერეთის-ქუთაისის რეგიონული რეესტრი	11
8. იმერეთის-ზესტაფონის რეგიონული რეესტრი	8
9. სამეგრელოს-ზუგდიდის რეგიონული რეესტრი	3
10. სამეგრელოს-ფოთის რეგიონული რეესტრი	6
11. აჭარის რეგიონული რეესტრი	3
12. გურიის რეგიონული რეესტრი	3
13. რაჭა-ლეჩხუმის რეგიონული რეესტრი	1

შენიშვნა: ზოგიერთი ადვოკატი რეგისტრირებულია ერთდროულად რამდენიმე რეგიონულ რეესტრში


ძირითადი სტატისტიკა:

- რეესტრის ადვოკატების მიერ 2012 წელს წარმობაში მიღებული საქმეები: 306 სისხლის სამართლის საქმე;
- 2012 წელს შეფასებული და ანაზღაურებული საქმეების რაოდენობა: 290 საქმე;
- რეესტრის ადვოკატთათვის 2012 წელს გაცემული ჯამური ანაზღაურება: 31,515 ლარი.

## სამსახურის მანდატი


2012 წლის დეკემბრის მდგომარეობით, იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი მოიცავს:

- უფასო იურიდიული კონსულტაციას ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე; სამართლებრივი დოკუმენტების (განცხადება, შუამდგომლობა და სხვ.) შედგენას;
- საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურებას სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულისა და მსჯავრდებულისათვის;
- დამცველის მომსახურებას არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების საქმეებზე;
- დამცველის მომსახურებას იმ გადახდისუუნარო მსჯავრდებულთათვის, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში;
- დამცველის მომსახურებას ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე, რომლებიც ადმინისტრაციული სახდელის სახით ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პატიმრობას.









# სტატისტიკა










- სისხლის სამართლის საქმეზე სრულად გამართლებული კლიენტების რაოდენობა: 28
- არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების საქმეები: 643
- არასრულწლოვანთა დაცვა: 284
- მსჯავრდებულთა დაცვა დისციპლინური სამართალწარმოების საქმეებზე: 13
- მოქალაქეთა დაცვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე: 9
- რეესტრის ადვოკატების მიერ წარმოებაში მიღებული სს საქმეები: 306









# წარმომადგენელი საქმედები



## ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს სახელფასო დავალიანება აუნაზღაურდა

იურიდიული დახმარების სამსახურის აჭარის ბიუროს კონსულტანტის, მაია ბოლქვაძის, ძალისხმევით, ლ.გ.-მ, რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროსგან სახელფასო დავალიანების სახით 4200 ლარის ანაზღაურებას ითხოვდა, სასამართლოში საქმე მოიგო.

2005 წელს, თავდაცვის ეროვნული აკადემიის ყოფილ თანამშრომელს, მესამე რანგის კაპიტან ლ.გ.-ს სამხედრო სამედიცინო კომისიამ დაუდგინა მესამე ჯგუფის ინვალიდობა, რაც შეიარაღებული ძალების რიგებიდან მისი დათხოვნის საფუძველი გახდა. სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ ლ.გ.-ს თავდაცვის სამინისტროსგან კომპენსაცია უნდა მიეღო, თუმცა წლების განმავლობაში ამას ვერ ახერხებდა.

ყოფილმა სამხედრო მოსამსახურემ კონსულტაციისათვის იურიდიული დახმარების სამსახურის აჭარის ბიუროს მიმართა. ბიუროს კონსულტანტი მაია ბოლქვაძე საქმის მასალებს ყურადღებით გაეცნო და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელი შეადგინა. მოსარჩელე – ლ.გ. თავდაცვის სამინისტროსგან სახელფასო დავალიანებისა და საინვენტარიზაციო აღჭურვილობის ღირებულების – ჯამში 4200 ლარის ანაზღაურებას ითხოვდა. მოთხოვნა დასაბუთებული იყო “საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, რომელიც დათხოვნილი მუშაკისათვის ხელფასის რვამაგი ოდენობით გადახდას ითვალისწინებდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემდეგ, ლ.გ.-მ მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც პრაქტიკულად სრულად გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ლ.გ.-ს სასარგებლოდ 3544 ლარის გადახდა დააკისრა.


## დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთების შექენა-გასალევაში ბრალდებულები გაეპოვდნენ

იურიდიული დახმარების სამსახურის იმერეთის-ქუთაისის ბიუროს ადვოკატის, ილია ნიკოლაძის, ძალისხმევით, ნ.ჯ., რ.ჯ. და რ.მ., რომლებსაც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთების შექენა-გასალევისათვის ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდათ, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდნენ.

წარდგენილი ბრალდების მიხედვით, ნ.ჯ., რ.ჯ. და რ.მ. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლნენ ქუთაისში მცხოვრები ი.ბ.-ის ლითონის ფირფიტებს, რომლებიც მოგვიანებით ჯართის მიმღებ პუნქტში ჩააბარეს. ბრალდებულები დანაშაულს არ აღიარებდნენ და მიუთითებდნენ, რომ ლითონის ფირფიტები შეიძინეს მოზარდისაგან, რომელმაც აღნიშნული ნივთები თავის საკუთრებად გაასაღა. მათივე მტკიცებით, გარიგებისას, მოზარდს ორი თანატოლი ახლდა. ნ.ჯ., რ.ჯ. და რ.მ. სათანადოდ არ ფლობდნენ ქართულ ენას, ამიტომ მათ, სავალდებულო წესით, დამცველად საზოგადოებრივი ადვოკატი ილია ნიკოლაძე დაენიშნათ.

ილია ნიკოლაძე საქმის მასალებს გაეცნო და თავისი დაცვის ქვეშ მყოფთა უდანაშაულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოძიებას შეუდგა. მან მოზარდების ვინაობა დაადგინა. ესენი აღმოჩნდნენ გ.ბ. და გ.ს., რომლებმაც განაცხადეს, რომ მათმა მეგობარმა დ.გ.-მ ბრალდებულებს ლითონის ნივთები მართლაც მიჰყიდა. გარდა ამისა, გ.ბ.-ს ბებია ი.ბ. ამბობდა, რომ შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრე, დ.გ.-სგან შეიტყო, თითქოს დეიდაშვილმა მას ლითონის ფირფიტები დაუტოვა. აღნიშნული პირების ჩვენებების საფუძველზე, სამივე ბრალდებული დაკავებიდან გათავისუფლდა.

მოგვიანებით, ნ.ჯ.-ს, რ.ჯ.-ს და რ.მ.-ს ბრალად დაედოთ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთების შექენა-





გასაღება. წინასასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ მოწმეების სახით დაზარალებულის მეზობელი და ჯართის მიმღები პუნქტის თანამშრომელი წარმოადგინა. მეზობელმა განაცხადა, რომ დაეჭვდა, როდესაც დაინახა, როგორ მიჰქონდა ერთ-ერთ ბრალდებულს ლითონის ფირფიტები, და მომხდარის შესახებ დაზარალებულს აცნობა. ჯართის მიმღები პუნქტის თანამშრომელმა კი აღნიშნა, რომ ნაქურდალ ნივთებში იმაზე ბევრად ნაკლები გადაიხადა, ვიდრე ეს საქმის მასალებით დგინდებოდა.

დასკვნითი სიტყვით გამოსვლისას, საზოგადოებრივმა ადვოკატმა კვლავ გაამახვილა ყურადღება მოზარდების ჩვენებებზე, რომელთა ჭეშმარიტებაში ბრალდების მხარეს ეჭვი არ შეუტანია. ამაზე დაყრდნობით, ილია ნიკოლაძემ თავისი დაცვის ქვეშ მყოფების გამართლება მოითხოვა.

საბოლოოდ, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია და სამივე ბრალდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

## ალიმენტის გადაუხდელობაში ბრალდებული გამართლდა

იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს ადვოკატის, იზოლდა მელიქიშვილის, ძალისხმევით, ა.უ., რომელსაც ბრალი ედებოდა ალიმენტის გადახდისგან თავის ჯიუტად არიდებაში, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

წალკის მკვიდრის, ალიხან უ.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო მას შემდეგ, რაც მისმა ყოფილმა მეუღლემ გულარა უ.-მ იგი სასამართლოს მიერ დაკისრებული ალიმენტის გადახდისგან თავის არიდებაში დაადანაშაულა და შესაბამისი საჩივრით პროკურატურას მიმართა. გულარა უ.-ს მტკიცებით, 2004 წლიდან გადაუხდელო ალიმენტის თანხა 4500 ლარს შეადგენდა.

საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე საზოგადოებრივმა ადვოკატმა იზოლდა მელიქიშვილმა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობის დასადასტურებლად შემდეგ გარემოებებზე მიუთითა: ბრალდებული, მართალია, არ იხდიდა ალიმენტს ფულადი თანხის სახით, თუმცა განქორწინების შემდეგ, არასრულწლოვანი შვილების სარჩენად, გულარა

უ.-ს სარგებლობაში 3.25 ჰა მიწის ნაკვეთი გადასცა. ყოველწლიურად გულარა უ. ახდენდა ნაკვეთიდან მიღებული 5 ტონა თივის რეალიზაციას, რაც მისი შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. გულარა უ.-ს მიერ ნაკვეთით სარგებლობის ფაქტი წალკის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა დაადასტურა. გარდა ამისა, საზოგადოებრივმა ადვოკატმა წარმოადგინა ცნობები ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. გაირკვა, რომ ა. უ.-მ მკურნალობის მიზნით ისესხა ფული და, ვალის დაბრუნების სანაცვლოდ, მწყემსად მუშაობდა. ამასთან, ხელფასის სახით მას არა ფულად თანხას, არამედ ნატურალურ პროდუქტებს აძლევდნენ.

აღნიშნულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, იზოლდა მელიქიშვილმა ბრალდებულის გამართლება მოითხოვა. საბოლოოდ, წალკის რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია და ა. უ.-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

## ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვაში ბრალდებული გამართლდა

იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის ბიუროს ადვოკატის, გიორგი ჯეირანაშვილის, ძალისხმევით, ნ.ბ., რომელსაც ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით შენახვისათვის შვიდიდან თოთხმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

საქმის მასალების მიხედვით, სამართალდამცავებმა ჩხრეკის შედეგად ბრალდებულის მშენებარე სახლიდან 358 გრამი ნედლი ნარკოტიკული საშუალება – მარიხუანა ამოიღეს. ნ.ბ. თავს დამნაშავედ არ ცნობდა. მას დამცველად საზოგადოებრივი ადვოკატი დაენიშნა.

მთავარ სასამართლო სხდომაზე საზოგადოებრივმა ადვოკატმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება ნარკოტიკული საშუალების ნ.ბ.-სადმი კუთვნილებას უტყუარად არ ადასტურებდა. კერძოდ, მოწმეთა ჩვენებებით ირკვეოდა, რომ სოფლის გზის პირას მდებარე სახლი, საიდანაც ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, იყო მშენებარე, კარების,

ფანჯრების ან რაიმე დამცავი საშუალებების გარეშე, და მასში შეღწევა ნებისმიერ პირს შეეძლო. შესაბამისად, გიორგი ჯეირანაშვილმა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება მოითხოვა.

საბოლოოდ, გორის რაიონულმა სასამართლომ საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია გაითვალისწინა და ნ.ბ.-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

## საზოგადოებრივი ადვოკატის დახმარებით მოქალაქეს ნასამართლობა გაუქარწყლდა

თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს საზოგადოებრივი ადვოკატის, ირაკლი მირცხულავას, დახმარებით მოქალაქეს ნასამართლობა გაუქარწყლდა.

იურიდიული დახმარების სამსახურის დაცვის ქვეშ მყოფ კ.ა.-ს ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 10 თებერვლის განაჩენით მსჯავრი დაედო ქურდობისათვის, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ჩადენილი დანაშაულისათვის კ.ა.-ს სასამართლოს მიერ სასჯელის სახით დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. 2005 წლის 4 ივლისს, პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე, კ.ა. განთავისუფლდა სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

2004 წელს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ქურდობისათვის, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სასჯელის სახით გათვალისწინებული იყო თავისუფლების აღკვეთა სამიდან თორმეტ წლამდე ვადით და, შესაბამისად, ეს დანაშაული მიეკუთვნებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას. ნასამართლობა კი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირს გაუქარწყლდება სასჯელის მოხდიდან რვა წლის შემდეგ.

2006 წლის 28 აპრილს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად,

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ქურდობისათვის, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, აწესებს სასჯელს სამიდან ხუთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთის სახით, რაც მიაკუთვნებს მას ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, რომელიც ნასამართლობის გაქარწყლებას ითვალისწინებს სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საზოგადოებრივმა ადვოკატმა ი. მირცხულავამ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო კ.ა.-ს მიმართ გამოტანილი ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 10 თებერვლის განაჩენის გადასინჯვისა და 2006 წლის 28 აპრილს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ადვოკატ ი. მირცხულავას მოთხოვნა და კ.ა.-ს მიმართ დადგენილ განაჩენში განახორციელა ცვლილებები, რის შედეგადაც მსჯავრდებულს გაუქარწყლდა ნასამართლობა.

## დოკუმენტის გაყარებაში ბრალდებული გაემართლა

იურიდიული დახმარების სამსახურის იმერეთის-ქუთაისის ბიუროს ადვოკატის, ვალერი კვანტალიანის, ძალისხმევით, ე.რ., რომელსაც დოკუმენტის გაყარებისათვის სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

ე.რ. წყალტუბოს პოლიკლინიკაში ფსიქიატრად მუშაობდა. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო მას შემდეგ, რაც სამართალდამცველებმა, ერთ-ერთი დანაშაულის ძიებისას, ე.რ.-ს მიერ გაცემულ ცნობაში პირის ჯანმრთელობის შესახებ ყალბი მონაცემები აღმოაჩინეს. კერძოდ, ე.რ.-მ, ჯანმრთელად მიიჩნია შ.ყ., რომელიც ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში აღრიცხვაზე იმყოფებოდა.

როგორც გაირკვა, დაავადების რემისიის პერიოდში შ.ყ.-მ ე.რ.-სთან გაიარა სამედიცინო შემოწმება, საპატრულო პოლიციაში წარადგინა ჯანმრთელობის შესახებ გაყალბებული ცნობა და



მიიღო მართვის მოწმობა. მოგვიანებით, როდესაც შ.ყ. მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს, სამართალდამცველებმა მის სახლში მართვის მოწმობა აღმოაჩინეს, რაც ახალი გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა. საზოგადოებრივი ადვოკატი ვალერი კვანტალიანი საქმეში საპროცესო შეთანხმების შესახებ ე.რ.-სთან მიმდინარე მოლაპარაკების ეტაპზე ჩაერთო. ადვოკატი დაცვის ქვეშ მყოფს გაესაუბრა და მას სასამართლოში საქმის განხილვის გაგრძელება ურჩია.

საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე ბრალდების მხარემ წარმოადგინა სამედიცინო საქმიანობის მარეგულირებელი სააგენტოს წერილი, საიდანაც ირკვეოდა, რომ ე.რ.-ს შეეძლო შ.ყ.-ის რეალური მდგომარეობის განსაზღვრა. პროკურატურა ბრალდებულს ედავებოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანების მოთხოვნის დარღვევას, რომელიც ამბულატორიული შემოწმების ბარათის შევსების წესებს არეგულირებდა. პროცესზე მოწმეების სახით დაიკითხნენ წყალტუბოს პოლიკლინიკის მთავარი ექიმი და ნევროპათოლოგი, ასევე ბრალდებული, რომლებმაც განაცხადეს, რომ აღნიშნული ბრძანება ექიმს პირის ჯანმრთელობის შესახებ დამატებითი ცნობების მოძიებას არ ავალდებულებდა, ხოლო მათი კომპეტენცია მხოლოდ ვიზუალური დათვალიერებითა და ზეპირი კონსულტაციით შემოიფარგლებოდა. დაიკითხა შ.ყ.-ს მკურნალი ექიმიც, რომელმაც დაადასტურა, რომ დაავადების რემისიის პერიოდში ფსიქიკურად დაავადებული პირი სოციალურად ადეკვატურია და მისი მდგომარეობის გამოვლენა სამედიცინო შემოწმების იმ მეთოდით, რომელსაც წყალტუბოს პოლიკლინიკაში იყენებდნენ, შეუძლებელი იყო.

ვალერი კვანტალიანმა, მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობითა და ე.რ.-ს 38-წლიანი უმწიკვლო პროფესიული ავტორიტეტის გათვალისწინებით, თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება მოითხოვა. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია გაიზიარა და ე.რ.-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

## უზალი თანხის და რითონის ნაკითხის ქურდობაში ბრალდებული გაეპარდა

იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის ბიუროს ადვოკატის, მარინა ყორღანაშვილის, ძალისხმევით, ზ.ბ., რომელსაც ბინაში უკანონო შეღწევით ჩადენილი ქურდობისათვის ოთხიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

საქმის მასალების მიხედვით, ზ.ბ.-მ ვ.ო.-ს ბინიდან 105 ლარი და მცირე ზომის ლითონის სეიფი წაიღო. ქურდობის მომენტში ვ.ო.-ს ხმაურზე გაეღვიძა, რის გამოც ბრალდებულმა ღობეზე სეიფის გადატანა ვერ შეძლო, იქვე დააგდო და ადგილიდან მიიშალა. სამართალდამცავებმა შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს ბრალდებულის მობილური ტელეფონი, რაც ზ.ბ.-ს წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველი გახდა. ბრალდებული თავს დამნაშავედ არ ცნობდა. მას დამცველად საზოგადოებრივი ადვოკატი დაენიშნა.

საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, დაკითხვისას, დაზარალებულმა ბრალდებული ვერ ამოიცნო. ვ.ო.-ს თქმით, ზ.ბ. არასოდეს უნახავს და მის შესახებ არაფერი სმენია. ბრალდებული დანაშაულის ადგილზე აღმოჩენილ მობილურ ტელეფონთან დაკავშირებით დუმის უფლებით სარგებლობდა, მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებები კი პროკურატურამ ვერ წარმოადგინა.

აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, მათი ყორღანაშვილმა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება მოითხოვა. გორის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია და ზ.ბ.-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

# ყოფიდა სამხედრო მოსამსახურე თავდაცვის სამინისტროს ღვაძლი მოუგო

იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს კონსულტანტის, დიმიტრი სამხარაძის, ძალისხმევით, ლ.ჩ.-მ, რომელსაც საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კონტრაქტის დარღვევისათვის 45600 ლარს ედავებოდა, სასამართლოში საქმე მოიგო.

საქმის მასალების მიხედვით, ლ.ჩ.-მ 2008 წელს აგვისტოში საბრძოლო მოქმედებების შედეგად ჭრილობები მიიღო და შეიარაღებულ ძალებში სამსახური ვეღარ განაგრძო. სამხედრო ნაწილში გამოუცხადებლობის გამო მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო. თუმცა მოგვიანებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის საექიმო კომისიამ ჩაატარა სამედიცინო შემოწმება, რითაც დადგინდა, რომ ლ.ჩ.-ის ჯანმრთელობის მდგომარეობა სამხედრო სამსახურისათვის შეუსაბამო იყო. ვინაიდან პროკურატურა ვერ დარწმუნდა ბრალდებულის მიერ სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვების ფაქტში, მან შეწყვიტა ლ.ჩ.-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა.

აღნიშნულის მიუხედავად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დავა ამოწურულად არ ჩათვალა და ლ.ჩ.-ის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ყოფილმა სამხედრო მოსამსახურემ სასამართლოში თავისი ინტერესების დასაცავად იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს მიმართა. ბიუროს კონსულტანტმა დიმიტრი სამხარაძემ საქმის მასალები შეისწავლა და შეადგინა შესაგებელი, რომელშიც ლ.ჩ.-ის სასარგებლოდ მოყვანილ არგუმენტებს შორის მითითებული იყო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი ცნობები, ასევე ლ.ჩ.-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ფაქტი. გარდა ამისა, შესაგებელში ყურადღება იყო გამახვილებული თავდაცვის სამინისტროს მხრიდან კონტრაქტის დარღვევის ფაქტზე. კერძოდ, ავადმყოფობის გამო ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში სამინისტრო ვალდებული იყო ამის შესახებ სამხედრო მოსამსახურისთვის წერილობით წინასწარ ეცნობებინა, რაც არ მომხდარა.

საბოლოოდ, რუსთავის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხე მხარის პოზიცია, უარი თქვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელის დაკმაყოფილებაზე და ლ.ჩ. 45600 ათასი ლარის გადახდისგან გაათავისუფლა.

# ოქრო-ვერცხლის ქურდობაში ბრალდებულები გაპარტყნენ

იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის ბიუროს ადვოკატის, იოსებ გაბარაევის, ძალისხმევით, ა.გ. და მ.გ., რომელთაც ქურდობის ჩადენისათვის შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდათ, სასამართლოს მიერ სრულად გაპართყნენ.

საქმის მასალების მიხედვით, ა.გ. და მ.გ. წლების განმავლობაში საქართველოს ფოსტის გორის ცენტრალურ განყოფილებაში მუშაობდნენ. ერთი – დარაჯი, ხოლო მეორე – ტექნიკური მუშაკი იყო. 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების შედეგად, სხვა დაწესებულებებთან ერთად, დაზიანდა ფოსტის შენობაც, რომელშიც თ.ბ.-ს ოქრო-ვერცხლის სახელოსნო ჰქონდა გახსნილი. სახელოსნო გაიქურდა და მის მეპატრონეს 700 ლარის ოდენობის ზიანი მიადგა.

როდესაც ქალაქი ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდა, ა.გ.-მ და მ.გ.-მ ფოსტის შენობის მახლობლად თ.ბ.-ს ხელსაწყოები იპოვეს. მოგვიანებით, ეს კიდევ ერთხელ განმეორდა. სწორედ ამან ავარაუდებინა თ.ბ.-ს, რომ მისი სახელოსნო ფოსტის თანამშრომლებმა გაქურდეს. მან შესაბამისი განცხადებით მიმართა სამართალდამცავებს. ა.გ.-ის და მ.გ.-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო. მათ, როგორც გადახდისუუნაროებს, დამცველად საზოგადოებრივი ადვოკატი დაენიშნათ.

საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე ბრალდების მხარემ ა.გ.-ის და მ.გ.-ის ბრალეულობის დამადასტურებელი ვერც ერთი პირდაპირი მტკიცებულება ვერ წარმოადგინა. საზოგადოებრივმა ადვოკატმა კი ყურადღება თავისი დაცვის ქვეშ მყოფთა პიროვნულ მახასიათებლებზე გაამახვილა. მისი თქმით, ისინი თითქმის ოცი წელი მუშაობდნენ ფოსტაში



და ამ ხნის განმავლობაში თავიანთ მოვალეობებს პირნათლად ასრულებდნენ. გარდა ამისა, მხედველობაში იყო მისაღები ისიც, რომ ა.გ. ცხინვალის რეგიონიდან დევნილი იყო.

აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, იოსებ გაბარაევმა ბრალდებულთა გამართლება მოითხოვა. გორის რაიონულმა სასამართლომ საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია სრულად გაიზიარა და ა.გ.-ის და მ.გ.-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

## სხვა ნაკრებები საქმეები

- იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს ადვოკატის, ქეთევან თალაკვაძის, ძალისხმევით, ი.გ., რომელსაც ქურდობის მცდელობისათვის ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.
- იურიდიული დახმარების სამცხე-ჯავახეთის ბიუროს ადვოკატის, ირაკლი ბარძიმაძის, ძალისხმევით, ხუთ ბრალდებულს, რომელთაც უკანონო ნადირობისთვის სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.
- იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის ბიუროს ადვოკატის, მაია გრიგოლიშვილის, ძალისხმევით, გ.გ., რომელსაც ქურდობისათვის სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.
- იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის ბიუროს ადვოკატის, ქეთევან გაგოევის, ძალისხმევით, ი.მ., რომელსაც საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შენახვისათვის სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.
- იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის ბიუროს ადვოკატის, გიორგი ჯეირანაშვილის, ძალისხმევით, დემეტრე რ., რომელსაც ბრალი ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენებაში ედებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.
- იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს ადვოკატის, მურმან

ნიკოლეიშვილის, ძალისხმევით, თარიმან ა., რომელსაც ქურდობის ჩადენისათვის სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, გვანცა გუგუშაშვილის, და მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატის, ელდარ გვალიას, ძალისხმევით, ა.კ. და გ.ი, რომლებსაც ქურდობისათვის სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდნენ.
- იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის ბიუროს ადვოკატის, იოსებ გაბარაევის, ძალისხმევით, თ. გ., რომელსაც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შექცენა-გასხვისებისთვის ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.
- იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის ბიუროს ადვოკატის, მაია გრიგოლიშვილის, ძალისხმევით, გ.კ., რომელსაც სხვისი ნივთის განზრახ დაზიანებისათვის სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.
- იურიდიული დახმარების სამსახურის აჭარის ბიუროს ადვოკატის, მამუკა ზოიძის, ძალისხმევით, არასრულწლოვანი რ.ა., რომელსაც ქურდობის მცდელობისათვის ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.
- იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის ბიუროს ადვოკატის, მარინა ყორღანაშვილის, ძალისხმევით, მ.კ., რომელსაც ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექცენა-შენახვა-ტარებისათვის ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.
- იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის ბიუროს ადვოკატის, იოსებ გაბარაევის, ძალისხმევით, არასრულწლოვანი ნ.ი., რომელსაც ქურდობის ჩადენისათვის სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.
- იურიდიული დახმარების სამსახურის მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატის, კობა ესაძის, ძალისხმევით, პ.ჯ., რომელსაც ქურდობის ჩადენისათვის 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.



# იურიდიული დახმარების ხელისაწვდომობა





# უფასო იურიდიული კონსულტაცია სასჯელსრულების დაწესებულებათა საზოგადოებრივ მისაღებში გახდა ხელისაწყო

**2012** წელს საქართველოს სასჯელსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ, პენიტენციური სისტემის რეფორმის ფარგლებში, №8, №15, №16, №17, №18 და №19 დაწესებულებებთან საზოგადოებრივი მისაღები აამოქმედა. სხვადასხვა სერვისთან ერთად, საზოგადოებრივ მისაღებში უფასო იურიდიული კონსულტაციით სარგებლობაც გახდა შესაძლებელი.

საზოგადოებრივ მისაღებში დასაქმებულია იურიდიული დახმარების სამსახურის ერთი კონსულტანტი, რომელიც პატიმრის მოსანახულებლად მოსულ პირებს ნებისმიერ საკითხზე სამართლებრივ რჩევას აძლევს და, საჭიროების შემთხვევაში, იურიდიული დოკუმენტების შედგენაში ეხმარება. 2012 წლის განმავლობაში ამოქმედდა 4 საზოგადოებრივი

მისაღები, სადაც უფასო იურიდიული კონსულტაციით 1100-ზე მეტმა პირმა ისარგებლა.

საზოგადოებრივ მისაღების ამოქმედებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა ნათესავების, უფლებადამცველებისა და სხვა დაინტერესებული პირების მომსახურების ხარისხი. გამარტივდება პროცედურული საკითხები. ვიზიტორებისთვის გათვალისწინებულია: პაემნის, ამანათის გადაცემის და განცხადების ჩაბარების სერვისი. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად შექმნილია ონლაინ და სატელეფონო კონსულტაციების სისტემა. დამატებითი სერვისის სახით კი გათვალისწინებულია საბანკო მომსახურება, უფასო ინტერნეტი, საბავშვო კუთხე და საინფორმაციო დაფა.



# იურიდიული დახმარების ხარისხი





## გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ჩატარებული სემინარები

სემინარები უძრავ ქონებაზე სოციალურად დაუცველ პირთა უფლებების დაცვის საკითხზე

**2012** წლის თებერვალსა და მარტში ჩატარდა სემინარები უძრავ ქონებაზე სოციალურად დაუცველ პირთა უფლებების დაცვის საკითხზე. სწავლებას იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტები და პრაქტიკანტები, ასევე კერძო სექტორში მოღვაწე ადვოკატები დაესწრნენ.

სწავლებას სამართლის ექსპერტები – მარიამ ცისკაძე, ქეთევან კობახიძე, ნანა მჭედლიძე და იაგო ხვიჩია უძღვებოდნენ. მათ განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა კეთილსინდისიერი შემძენის უფლებამოსილების ფარგლები, თანამესაკუთრეთა უფლებები უძრავ ქონებაზე, შეზღუდული სანივთო უფლებები უძრავ ქონებაზე და სხვა. სემინარის მონაწილეები ასევე სამოქალაქო კანონმდებლობის უახლეს ცვლილებებს გაეცნენ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მიმოიხილეს და დისკუსიებიც გამართეს.

სემინარი იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების საკითხებზე

2012 წლის აპრილში იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტებისა და კერძო სექტორში მოღვაწე ადვოკატებისთვის ჩატარდა მორიგი სემინარი იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების საკითხებზე.

სემინარის მონაწილეებმა გააანალიზეს იძულებით გადაადგილებულ პირთა სამართლებრივი

მდგომარეობის მარეგულირებელი კანონმდებლობა, იმსჯელეს დევნილთა ეკონომიკური და სოციალური უფლებების გარანტიებზე, ასევე – კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრებ პირთა სამედიცინო დაზღვევისა და ქონებრივი უფლებების დაცვის საკითხებზე. სწავლებას სამართლის ექსპერტები მიხეილ გოგიშვილი და მარიამ ცისკაძე გაუძღვნენ.

სემინარი სოციალური დაცვის კანონმდებლობის საკითხებზე

2012 წლის ივნისში იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტებისათვის ჩატარდა სემინარი, რომელიც სოციალური დაცვის გარანტიებს მიეძღვნა. სემინარს სამართლის ექსპერტები – ავთანდილ ვასაძე და მარიამ ცისკაძე უძღვებოდნენ. მათ ვრცლად ისაუბრეს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირებისა და ადმინისტრირების პირობები, ასევე სახელმწიფო პენსიის დანიშვნა და სოციალური დახმარების მიღებასთან დაკავშირებული დავების განხილვის წესი.

2012 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში რეგისტრირებულია 1 მილიონ 600 ათასზე მეტი პირი. აქედან საარსებო შემწეობას იღებს 501 ათასი მოქალაქე, რაც საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 11%-ს შეადგენს. იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტები ხშირად ეხმარებიან იმ პირებს, რომლებიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზიდან ოჯახის ამოღებასა და ფინანსური დახმარების შეწყვეტას ედავებიან.

სემინარი სააღსრულებო წარმოების საკითხებზე

2012 წლის სექტემბერში ჩატარდა სემინარი სააღსრულებო წარმოების საკითხებზე. სწავლებას იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტები და კერძო სექტორში მოღვაწე იურისტები დაესწრნენ. სემინარს აღსრულების ეროვნული ბიუროს იურისტები უძღვებოდნენ. მათ დეტალურად ისაუბრეს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა აღსრულების არსი და მიზანი, სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირთა უფლებები, სააღსრულებო პროცედურები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები, მოვალეთა რეესტრი, აღსრულება უძრავ და მოძრავ ქონებაზე და სხვა. სემინარის მონაწილეებმა დისკუსიებიც გამართეს.

სემინარი ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის საკითხებზე

2012 წლის ნოემბერში ჩატარდა სემინარი იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტებისთვის ადმინისტრაციული სამართლის საკითხებზე.

სემინარს სამართლის ექსპერტი – პაატა ტურავა უძღვებოდა. მან დაწვრილებით ისაუბრა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმები, ადმინისტრაციული საჩივარი, ადმინისტრაციული წარმოება, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა, შრომის სამართლებრივი ურთიერთობები და სხვა.

სემინარი თავისუფლების აღკვეთის დასაბუთების სტანდარტების შესახებ

2012 წლის ნოემბერში ჩატარდა სემინარი თავისუფლების აღკვეთის დასაბუთების სტანდარტების შესახებ. სწავლებას იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის, მცხეთის, რუსთავისა და გორის ბიუროების ადვოკატები დაესწრნენ.

სემინარს იურისტი – ნანა მჭედლიძე უძღვებოდა. მან თავისუფლების აღკვეთის დასაბუთების სტანდარტები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მიხედვით განიხილა. ძირითადი ყურადღება ECHR-ის მე-5 თავის შესაბამის მუხლებზე გამახვილდა. საუბარი შეეხო თავისუფლების უფლებას, ასევე დაკავების, პატიმრობისა და გირაოს შეფარდების დასაბუთების სტანდარტებს. განხილულ იქნა საქართველოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეტანილი საქმეები.

## სასჯელსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული სემინარები

სემინარი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სიახლეების შესახებ

2012 წლის მაისში ჩატარდა სემინარი სასჯელსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისათვის.

სწავლებას თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, ლალი ფაფიაშვილი უძღვებოდა. სემინარის ფარგლებში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აქტუალური საკითხები განიხილეს. პრაქტიკოსი ადვოკატებისთვის ტრენინგი ინტერაქტიული მეთოდით წარიმართა. თეორიული კურსის მიმოხილვის



შემდეგ საკანონმდებლო სიახლეებზე და პრაქტიკაში დაგროვილ პრობლემურ საკითხებზე იმსჯელეს.

სემინარები ექსტრადიციის პროცედურების შესახებ 2012 წლის მაისში, ივნისსა და სექტემბერში იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატთათვის ჩატარდა 4 სემინარი ექსტრადიციის პროცედურების შესახებ.

სწავლება შემდეგ საკითხებს მოიცავდა: ევროპული კონვენცია ექსტრადიციის შესახებ, სტრასბურგის სასამართლოს მიერ დადგენილი მოთხოვნები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს ექსტრადიციის შემთხვევაში, საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ და პრეცედენტული საქმეები. სემინარებს უძღვებოდა სამართლებრივი ექსპერტი ლევან მესხორაძე.

## სხვა ორგანიზაციების მხარდაჭერით ჩატარებული სემინარები

ტრენინგი ეფექტური მომსახურების საპიოხებზე

2012 წლის ივლისში იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტებისთვის ჩატარდა 2 ტრენინგი, რომელიც მოქალაქეთა ეფექტური მომსახურების საკითხებს მიეძღვნა. სწავლება USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროგრამის (JILEP) ფარგლებში ჩატარდა.

ტრენინგი, რომელსაც ფსიქოლოგები – ვაჟა კვერნაძე და ლელა გიორგობიანი უძღვებოდნენ, თეორიულ და



პრაქტიკულ მეცადინეობას მოიცავდა. მონაწილეები გაეცნენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა მომსახურების პროცესის რაობა, მოქალაქის დაკმაყოფილების ფსიქოლოგიური კანონზომიერებები, პერსონალის ქცევის სტანდარტები, კომუნიკაციის არავერბალური მხარე, რთული სიტუაციები მომსახურების პროცესში, კონფლიქტის ესკალაცია-დეესკალაცია და სხვა.

### სემინარი ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლის თემაზე

2012 წლის აგვისტოში იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები დაესწრნენ სემინარს, რომელიც ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის საკითხებზე ჩატარდა.

სწავლებას სამართლის ექსპერტები – გიორგი ლაითიძე და მარი მესხი უძღვებოდნენ. სემინარის ფარგლებში განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა ტრეფიკინგთან დაკავშირებული დანაშაულის ნიშნები და სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის საკითხები, ადამიანის ვაჭრობის ობიექტთათვის დაზარალებულის ან მსხვერპლის სტატუსის მინიჭების პროცედურები, ტრეფიკინგის მსხვერპლთა სოციალურ-ფსიქოლოგიური დაცვის სახელმწიფოებრივი მექანიზმები და სხვა.

სწავლება ჩატარდა ტრეფიკინგთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა (IOM) და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების საერთაშორისო ბიუროს (INL) ორგანიზებით.

## იურიდიული კლინიკის პროექტი


უკვე მესამე წელია, იურიდიული დახმარების სამსახური იურიდიული კლინიკების პროექტს ახორციელებს. პროექტის მიზანია სამართალმცოდნეობის ფაკულტეტების სტუდენტთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ასევე იურიდიული დახმარების სამსახურში მაღალკვალიფიციური კადრების რეკრუტირება.

2012 წელს დამამთავრებელი კურსისა და მაგისტრატურის ოცდაათმა სტუდენტმა სტაჟირება გაიარეს იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის, ბათუმის, ზუგდიდის, ქუთაისის,



ახალციხისა და გორის ბიუროებში. ექვსთვიანი პრაქტიკის ფარგლებში, სტუდენტები ბიუროში მისულ მოქალაქეებს კონსულტაციებს უწევდნენ. გარდა ამისა, ისინი, საზოგადოებრივი ადვოკატების ხელმძღვანელობით, რეალურ კლიენტებს ხვდებოდნენ და კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტებს ამზადებდნენ. სტუდენტებს სასამართლოს, პროკურატურის, სასჯელაღსრულების დაწესებულებებისა და სხვა ორგანოების მონახულების საშუალებაც ეძლეოდათ. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში რამდენიმე წარმატებული სტაჟიორი იურიდიული დახმარების სამსახურში სხვადასხვა თანამდებობებზე დასაქმდა. ტრადიციულად, პროგრამის დასასრულს კი სტაჟიორები იმიტირებულ სასამართლო პროცესებს აწყობენ, სადაც შეძენილი უნარ-ჩვევების დემონსტრირებას ახდენენ. 2012 წლის ივლისში, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შესაბამისი ბიუროების სტაჟიორებმა იმიტირებული პროცესები ქუთაისსა და თბილისში გამართეს. ღონისძიებებს სტუდენტების ხელმძღვანელი ადვოკატები, ასევე იურიდიული დახმარების სამსახურის სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

იმიტირებულ პროცესებზე სამ ჯგუფად დაყოფილი სტუდენტები დაცვისა და ბრალდების მხარეებს, ასევე მოსამართლეებს წარმოადგენდნენ. მათ განიხილეს სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვა-გადაზიდვის ფაქტს ეხებოდა. პროცესი წარიმართა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, რომლებსაც სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები განასახიერებდნენ. ქუთაისშიც და თბილისშიც მსაჯულებმა გამამართლებელი ვერდიქტი გამოიტანეს, შესაბამისად, გამარჯვება ერგოთ იმავე ქალაქის გუნდებს, რომლებიც დაცვის მხარეს განასახიერებდნენ.



# საზოგადოებასთან ურთიერთობები





## სამართლებრივი დახმარების პროექტი სამეგრელოში

გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) და სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახურმა 2011 წლის ოქტომბრიდან დაიწყო პროექტი, რომელიც სამეგრელოში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდას და საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას ითვალისწინებს. სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის პროექტში, რომელიც 2012 წლის აგვისტომდე გაგრძელდა, იურიდიული დახმარების სამსახურის რეგიონულ ბიუროებთან ერთად, საქართველოს სახალხო დამცველის ადგილობრივი ოფისი და საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი

„აფხაზეთი“ ჩაერთვნენ. პროექტის ფარგლებში იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტები ზუგდიდში, ხობში, სენაკში, წალენჯიხისა და ფოთში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს და ადგილობრივ მოსახლეობას ხვდებოდნენ, უწევდნენ კონსულტაციას და აქტუალურ თემებზე შედგენილ პუბლიკაციებს ურიგებდნენ. პროექტს რეგიონული რადიო „ათინათი“ აშუქებდა. პროექტის ფარგლებში განხორციელდა 80-ზე მეტი გასვლითი კონსულტაცია, აქედან თითქმის ნახევარი იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში. ამ ვიზიტების დროს იურიდიული კონსულტაცია 2000-ზე მეტმა პირმა მიიღო, რამაც ხელი შეუწყო მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლებას.

კონსულტაციები ძირითადად ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია და სოციალური დახმარება, მსჯავრდებულის სასჯელისგან გათავისუფლება, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები, განქორწინება და აღიშენი, საბანკო ურთიერთობები, დევნილთა დამისამართება, დევნილთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება, პენსიის მიღება და სხვა.

## გასვლითი კონსულტაციები სსიპ რეგიონებში

2012 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის მობილურმა ჯგუფებმა გასვლითი კონსულტაციები გამართეს შემდეგ დასახლებულ პუნქტებში: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლები – მარაბდა,







კოდა და ლოუბანი; დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჟინვალის და სოფელი ბარისახო; ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელი კიცხი; ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდა; გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი კაჭრეთი; მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლები – ქესალო და წერეთელი; ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამი და სოფელი წაღვლი; მცხეთის მუნიციპალიტეტის დევნილთა დასახლებები – ფრეზეთი და წეროვანი, ასევე სოფლები – ნიზისი და ძეგვი; გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი და სოფელი სართიჭალა; გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ხურვალეთი (დევნილთა დასახლება); ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელი შროშა; ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელი მატანი; ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლები – მუსხი და აგარა; კასპის მუნიციპალიტეტის სოფელი ოკამი; მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი; ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი; თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი კონდოლი; სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი დიდი ჯიხაში; წალკის მუნიციპალიტეტის სოფელი არწივანი; ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელი კარტიკამი; დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელი ჯავახი.

## შეხვედრა თსუ-ში საზოგადოებრივ სასარგებლო შეთანხმებების თემაზე

2012 წლის 16 მაისს იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა, ირაკლი კობიძემ, ამერიკელ იურისტებთან ერთად, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეხვედრა გამართა. თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს საქართველოში არსებული უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემა და აშშ-ში მოქმედი საზოგადოებისათვის სასარგებლო შეთანხმებების ინსტიტუტი გააცნეს. შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ რეფორმებზე, რომელთა შედეგად მოსახლეობას უფასო საადვოკატო მომსახურებით, იურიდიული კონსულტაციებითა და დოკუმენტების შედგენის სერვისით სარგებლობის საშუალება მიეცა. ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციის „იურისტთა კომიტეტი სამოქალაქო უფლებებისათვის“ წარმომადგენლებმა დაიან გლაუბერმა და დევიდ ზისერმა კი ყურადღება გაამახვილეს იურიდიული დახმარების იმ მექანიზმზე, რომელიც აშშ-ში ადგილობრივ მოსახლეთა გაერთიანებებისთვის ინვესტორებთან ურთიერთობებისას მოქმედებს. მათი განმარტებით, ამერიკაში წარმატებით დაინერგა საზოგადოებისათვის სასარგებლო შეთანხმებების სისტემა, რომელიც კონკრეტული საინვესტიციო პროექტების განხორციელების დროს სამშენებლო კომპანიასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას გულისხმობს.

ამერიკელი იურისტები საქართველოში საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების მოწვევით (ACTR/ACCELS) იმყოფებოდნენ. გამოცდილების გაზიარების მიზნით ისინი საქართველოს ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ასევე სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვედნენ.



## შეხვედრები დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებში

2012 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტებს აშშ-ს მთავრობის მიერ დაფინანსებულმა დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებმა უმასპინძლეს. პირველი შეხვედრა 15 ივნისს, ახალციხეში გაიმართა. შეკრებილი მოსახლეობა იურიდიული დახმარების სერვისებს და საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის სპეციფიკას გაეცნო. შეხვედრას ადგილობრივი მედიაც ესწრებოდა.

შეხვედრისას გაირკვა, რომ მოსახლეობას სოციალურ დახმარებასა და სამკვიდრო დავებთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებს. საზოგადოებრივმა ადვოკატმა მოქალაქეებს კონსულტაცია ადგილზე გაუწიეს, ხოლო სრულყოფილი მომსახურების მისაღებად ადგილობრივი იურიდიული დახმარების ბიუროში მისვლა ურჩიეს და, საჭიროების შემთხვევაში, სამართლებრივი დოკუმენტების შედგენასაც დაჰპირდნენ.

1 აგვისტოს კი ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში მიწვეულ მოსახლეობას უძრავი ქონების რეგისტრაციის საკითხებზე სამართლებრივი კონსულტაცია იურიდიული დახმარების სამსახურის ადგილობრივი საკონსულტაციო ცენტრის იურისტმა, იამზე მემარნიშვილმა, გაუწია.

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრები მნიშვნელოვან საკითხებზე დისკუსიის გასამართად სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მედიასა და პოლიტიკურ პარტიებს შესაბამის სივრცეს სთავაზობენ. ცენტრები თელავში, საგარეჯოში, რუსთავში, მარნეულში, გორში, ახალციხეში, ქუთაისში, ზუგდიდში, ოზურგეთსა და ბათუმში ფუნქციონირებენ. მათ საქმიანობას აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო უზრუნველყოფს.

თანაგზობა სანდონო,  
არასამთავრო და სარტეორის  
ორგანიზაციებთან





# სასწავლო ვიზიტი ნიდერლანდებში

**2012** წლის იანვარში იურიდიული დახმარების სამსახურის დელეგაცია ხუთდღიანი სასწავლო ვიზიტით ნიდერლანდებში იმყოფებოდა. ვიზიტი გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ორგანიზებით განხორციელდა და მიზნად ისახავდა ქართველი იურისტებისათვის ნიდერლანდებში არსებული სამართლებრივი დახმარების სისტემის გაცნობას. ქართული დელეგაციის შემადგენლობაში იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი და სამსახურის რეგიონული ბიუროების უფროსები შედიოდნენ. მათ შეხვედრები გამართეს უტრეხტში, ნიდერლანდების იურიდიული დახმარების საბჭოს ცენტრალურ ოფისში, ასევე ეინდჰოვენისა და ჰერტოგენბოსის რეგიონულ განყოფილებებში.

ნიდერლანდების იურიდიული დახმარების საბჭო მოქმედებს იუსტიციისა და უსაფრთხოების სამინისტროს დაქვემდებარებაში და ეყრდნობა შერეულ სისტემას. პირველად იურიდიულ დახმარებას, კონსულტაციის სახით, გასწევენ საშტატო თანამშრომლები. შრომატევად საქმეებზე კი კერძო ადვოკატები მუშაობენ. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების საბჭოს რეესტრში რეგისტრირებულია 7 ათასზე მეტი კერძო ადვოკატი, რომლებიც კლიენტებს სისხლის, საოჯახო, შრომისა და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე იცავენ. რეესტრის ადვოკატები მოქმედებენ ნიდერლანდების იურიდიული დახმარების საბჭოს, ადვოკატთა ასოციაციისა და იუსტიციის სამინისტროს მიერ ერთობლივად დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. უფასო სამართლებრივ დახმარებაზე მოთხოვნა მზარდია. 2011 წელს, რეესტრის ადვოკატების ანაზღაურებასა და 30 საკონსულტაციო ცენტრის შენახვას ნიდერლანდების მთავრობამ 475 მილიონი ევრო მოახმარა. ამასთანავე, საქართველოსგან განსხვავებით, ნიდერლანდებში უფასო საადვოკატო მომსახურებით სარგებლობისას კლიენტს უწევს ხარჯების მცირე ოდენობით თანადაფინანსება.



## საქართველოს ინიციატივით, მსოფლიოში იურიდიული ღახეაქაზის ხელმძღვანელობის საკითხი საქრთველოს დოკუმენტით ღახეაქაზის

2012 წლის 25 აპრილს, ვენაში, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის კომისიამ (CPCJ) მიიღო რეზოლუცია სისხლის სამართლის სისტემებში იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის პრინციპებისა და სახელმძღვანელო ინსტრუქციების შესახებ. დოკუმენტის მიღების ინიციატორი საქართველო, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და კიდევ რამდენიმე სახელმწიფო გახდა.

ეს არის პირველი გლობალური მასშტაბის საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოსთვის ადგენს ძირითად პრინციპებსა და ინსტრუქციებს სისხლის სამართლის საქმეებზე სოციალურად დაუცველი და სხვა სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისათვის ეფექტური იურიდიული დახმარების გაწევის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ამავე დროს, რეზოლუცია წევრ სახელმწიფოებს ანიჭებს დისკრეციულ უფლებამოსილებას, თავიანთი სამართლებრივი სისტემებისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თავისებურებების გათვალისწინებით, შეიმუშაონ და დანერგონ რეზოლუციის იმპლემენტაციის ეფექტური მექანიზმები. დოკუმენტზე ინტენსიური მუშაობა, სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტთა მონაწილეობით, ბოლო 3 წლის



განმავლობაში მიმდინარეობდა. რეზოლუციამ საბოლოო სახე მიიღო 2011 წლის ნოემბერში ვენაში გამართულ საერთაშორისო საექსპერტო სამუშაო ჯგუფის სხდომაზე.

2012 წლის 2 ოქტომბერს, ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის 67-ე სესიის ფარგლებში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებმა ზემოაღნიშნულ საკითხზე სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატებთან შეხვედრა გამართეს, რეზოლუციის მნიშვნელობა გააცნეს და გენერალურ ასამბლეაზე მისი მიღების მხარდაჭერისკენ მოუწოდეს. 20 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ საბოლოოდ დაამტკიცა „სისხლის სამართლის სისტემებში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები“.

## ადვოკატებისა და პროკურორების სამუშაო უზრუნველყოფა

სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ 2012 წლის 15 ივნისს გამართულ შეხვედრაზე ადვოკატებმა და პროკურორებმა სისხლის სამართლის პროცესის აქტუალურ საკითხებზე იმსჯელეს. სამუშაო შეხვედრას იურიდიული დახმარების სამსახურის, ადვოკატთა ასოციაციის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მთავარი პროკურატურის წარმომადგენლები დაესწრნენ. დისკუსია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით გაიმართა.

შეხვედრის მონაწილეებს UNDP-ის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში ჯეიმი მაკგოლდრიკმა მიმართა. ღონისძიების გახსნისას ითქვა, რომ ბრალდებისა და დაცვის მხარეთა



კონსტრუქციული დიალოგი ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმას და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას.

სამუშაო შეხვედრის ფარგლებში ადვოკატებმა და პროკურორებმა განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა გამოძიების პროცესში მხარეთა მიერ ინფორმაციის ურთიერთგაცვლა, დაცვის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებანი, პრეიუდიციული ფაქტები, მტკიცებულებების გამოკვლევა წინასასამართლო სხდომაზე, ბრალდებულის ჩვენება, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, სავალდებულო დაცვა და სხვა. პრაქტიკის სრულყოფის მიზნით დისკუსიის მონაწილეებმა რეკომენდაციებიც შეიმუშავეს.

## უსხოვანი სპეციალისტები იურიდიული დახმარების ქართული მოდელის უზრუნველყოფის განხორციელებას

2012 წლის ივნისში უფასო იურიდიული დახმარების ქართული მოდელის შესასწავლად თბილისს ინდონეზიის, ბანგლადეშისა და უკრაინის წარმომადგენელთა ერთობლივი დელეგაცია ეწვია. სტუმრებმა იურიდიული დახმარების სამსახურის ცენტრალური და რეგიონული ოფისები მოინახულეს. ვიზიტი „ღია საზოგადოების ინსტიტუტის“ ორგანიზებით განხორციელდა.

დელეგაციის წევრები დეტალურად გაეცნენ სამსახურის ფუნქციებს, ორგანიზაციაში დასაქმებული იურისტების პროფესიული განვითარების ღონისძიებებს, ასევე უფასო საადვოკატო მომსახურების, იურიდიული კონსულტაციებისა და დოკუმენტების შედგენის სპეციფიკას. საქართველოში მოქმედი იურიდიული დახმარების მოდელი პოსტსოციალისტურ სივრცეში



სამაგალითოდ ითვლება. გაცნობითი ვიზიტები 2011 წელსაც გაიმართა, თბილისს ყაზახეთისა და ორდანის დელეგაციები ეწვივნენ.

უკრაინელი კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარება 2012 წლის დეკემბერშიც გაგრძელდა. 13-14 დეკემბერს, კიევში, გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც სისხლის სამართლის სფეროში უკრაინის მიერ გატარებულ რეფორმებს მიეძღვნა. განხილვის ძირითადი თემები იურიდიული დახმარების სისტემა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა იყო. საქართველოს მხრიდან კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა, მელიტონ ბენიძემ, რომელმაც უკრაინის რეგიონებში ახლად გახსნილი იურიდიული დახმარების ცენტრების უფროსებს სამართლებრივი დახმარების ადმინისტრირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის თავისებურებები გააცნო.

2012 წელს, სხვადასხვა დროს, იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროებს კიდევ რამდენიმე უცხოელი იურისტი ეწვია. 6 ივნისს, შიდა ქართლის ბიუროს დანიელი მოსამართლე – მარიან კოდტი სტუმრობდა; 27 ივნისს სამცხე-ჯავახეთის ბიუროს USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროგრამის (JI-LEP) წარმომადგენლებს უმასპინძლა; 30 ოქტომბერს კი მცხეთა-მთიანეთის ბიუროს საქმიანობას ჩიკაგოს იურიდიული დახმარების ფონდის ადვოკატი – კულსუმ ამეჯი გაეცნო.

## იურიდიული დახმარების რეგიონული ქსელი

2012 წლის 6 ივლისს, ახალციხეში, იურიდიული დახმარების სამსახურის სამცხე-ჯავახეთის ბიუროს ადვოკატებმა და რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა სამუშაო შეხვედრა გამართეს. შეხვედრის მონაწილეებმა იურიდიული დახმარების სფეროში კოორდინაციის გაუმჯობესების შესაძლებლობები განიხილეს. ღონისძიება სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (CiDA) ორგანიზებით ჩატარდა.


შეხვედრა გაიმართა იმ მემორანდუმის ფარგლებში, რომელიც 2012 წლის მაისში, თბილისში,



იურიდიული დახმარების სამსახურმა და ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა გააფორმეს. ხელმოწერმა მხარეებმა თავიანთ რეგიონულ წარმომადგენლობებს შორის კოორდინაციის ვალდებულება იტვირთეს, რათა მოსახლეობას კვალიფიციური და დროული იურიდიული დახმარებით სარგებლობის საშუალება მიეცეს. შეთანხმების მიხედვით, ურთიერთშემავსებელი სერვისების მქონე ორგანიზაციები ბენეფიციარებს ერთმანეთთან გადაამისამართებენ, თუკი სათანადო დახმარების აღმოჩენის საშუალება თავად არ ექნებათ.

საქართველოში უფასო იურიდიულ დახმარებაზე მოთხოვნა მაღალია, თუმცა ძნელად მოიძებნება ისეთი ორგანიზაცია, რომელიც უფასო ადვოკატირებას სამართლის ყველა დარგში განახორციელებს. მაგალითად, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახური სასამართლო წარმომადგენლობას მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე უზრუნველყოფს, დანარჩენ შემთხვევებში კი კონსულტირებით შემოიფარგლება. ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციები, თავიანთი მიზნებიდან გამომდინარე, ადვოკატირებას სპეციფიკური მიმართულებით გასწევენ. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორებმა, ერთობლივი ძალისხმევით, ყველაზე დაუცველ მოქალაქეებს იურიდიული დახმარების სრული პაკეტი შესთავაზონ.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური შეხვედრები თელავში, გორში, მცხეთასა და რუსთავშიც გაიმართა. რეგიონებში იურიდიული დახმარების ქსელის ფორმირება სამოქალაქო განვითარების სააგენტომ (CiDA), აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, განახორციელა.



# სამსახურის დაგეგმვა და გამჭვირვაება

სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური

## ჯილდოვდება

2011 წელს საჯარო ინფორმაციის  
ხელმისაწვდომობის საუკეთესოდ  
უზრუნველყოფისათვის





# იურიდიული დახმარების სამსახური ერთ-ერთ ყველაზე გამჭვირვალე ორგანიზაციად დასახელდა

იურიდიული დახმარების სამსახური ერთ-ერთი ყველაზე ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე საჯარო დაწესებულებაა. ამის შესახებ ცნობილი გახდა „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ანგარიშიდან, რომელიც ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) 2012 წლის აპრილში წარმოადგინა. საჯარო დაწესებულებათა გამჭვირვალობის ხარისხის დადგენის მიზნით, 2011 წელს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) სამინისტროებს, სსიპ-ებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს საჯარო ინფორმაციის მიწოდების თხოვნით პერიოდულად მიმართავდა, მიღებულ მონაცემებს ამუშავებდა და მონაცემთა ბაზაში, [opendata.ge](http://opendata.ge)-ზე ათავსებდა.

იურიდიული დახმარების სამსახურმა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ყველა მომართვას კანონით დადგენილი ვადებისა და პროცედურების დაცვით უპასუხა. IDFI-სთვის მიწოდებულ მონაცემებს შორისაა ინფორმაცია იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობის, გაცემული ხელფასებისა და პრემიების, ასევე სხვადასხვა ხარჯებისა და განხორციელებული შესყიდვების შესახებ. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და გამჭვირვალე საქმიანობისათვის იურიდიული დახმარების სამსახურს სპეციალური ჯილდოც გადაეცა.



მემორანდუმის გაფორმება არასამთავრობო ორგანიზაციებთან

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის – [opendata.ge](http://opendata.ge)“-ს პროექტს, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ დაფინანსებით, ახორციელებდა. პროექტი მიზნად ისახავდა საჯარო უწყებების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლებას, ასევე საჯარო დაწესებულებების საზოგადოებრივი კონტროლის გაუმჯობესებას.

# მსჯელობა იურიდიული დახმარების სამსახურის დამოუკიდებლობის საკითხზე

2012 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის დამოუკიდებლობის საკითხზე რამდენიმე კონფერენცია გაიმართა. ამ თემაზე მართლმსაჯულების სფეროში მოქმედი სახელმწიფო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მსჯელობდნენ.

პირველი კონფერენცია 23 მაისს, თბილისში, სასტუმრო „ქორთიარტ მარიოტში“, USAID-ის მხარდაჭერით, მოეწყო და იურიდიული დახმარების სამსახურის წინაშე არსებულ გამოწვევებს მიეძღვნა. ღონისძიება იურიდიული დახმარების სამსახურსა და ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის მემორანდუმის ხელმოწერით დაიწყო. დოკუმენტი ითვალისწინებს თანამშრომლობას სოციალურად დაუცველი პირებისათვის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე იურიდიული დახმარების




გაწევისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების კუთხით. გაიმართა „იურიდიული დახმარების სამსახურის საჭიროებების და შესაძლებლობების კვლევის“ შედეგების პრეზენტაციაც. კონფერენციის მონაწილეებმა იმსჯელეს არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციებზეც, რომლებიც იურიდიული დახმარების სფეროს შემდგომ რეფორმირებას, კერძოდ, ახალი სერვისების დანერგვას, საზოგადოებრივ ადვოკატთა საქმიანობის ხელშეწყობასა და იურიდიული დახმარების სამსახურის დამოუკიდებლობის განმტკიცებას ეხება. დასასრულს კი დისკუსია გაიმართა.

მომდევნო შეხვედრა 19 ივლისს USAID-ისა და UNDP-ის ორგანიზებით მოეწყო. განხილვის ძირითადი თემები იყო: იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატთა დამოუკიდებლობა და ანგარიშვალდებულება, მათი შრომითი გარანტიები; საადვოკატო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭოს როლი ხარისხის კონტროლსა

და სამსახურის მართვაში და სხვა. მომხსენებლებმა აღნიშნული საკითხები საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების ტრილში წარმოადგინეს. 2012 წლის 30 ნოემბერს, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინიციატივით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე „იურიდიული დახმარების სამსახურის სტატუსი სამართლებრივ სისტემაში“.

მონაწილეებმა განიხილეს უფასო იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტები და იმსჯელეს უფასო იურიდიული დახმარების სისტემის გავრცელებულ მოდელებზე. შეხვედრის მონაწილეთა მიერ შემოთავაზებული იურიდიული დახმარების სისტემის ორგანიზების სხვადასხვა მოდელები აუდიტორიამ ცხარე დისკუსიის ფონზე განიხილა. სამსახურის სტატუსზე მსჯელობა 2013 წელს გაგრძელდება.



# 2012 წლის ფინანსური ანგარიში



